

**საარჩევნო ბლოკი -  
სახალხო-ხალხის ერთსულოვნება  
წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები:**

- 1.1 საარჩევნო ბლოკის სახელწოდება: „სახალხო- ხალხის ერთსულოვნება“
- 1.2 საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით საარჩევნო ბლოკი გამოიყენებს ხალხის პარტიის ბეჭედს და ბლანკს.
- 1.3 საარჩევნო ბლოკის მისამართია (ფაქტობრივი) ქ. თბილისი, ჯავახიშვილის 73

**მუხლი 2. საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიები - ბლოკის სუბიექტები:**

- 2.1 პ/გ „ხალხის პარტია“
- 2.2 პ/გ „სახალხო პარტია“

**მუხლი 3. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო:**

- 3.1 საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანოა ბლოკის საბჭო (შემდგომში - საბჭო);
- 3.2 საბჭოს წევრები არიან ბლოკში შემავალი პარტიების თავმჯდომარეები.

**მუხლი 4. საარჩევნო ბლოკის საბჭოს უფლებამოსილება:**

- 4.1 საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;
- 4.2 ნიშნავს და ათავისუფლებს ბლოკის საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველს და ბუღალტერს;
- 4.3 ნიშნავს და გამოიწვევს საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე;
- 4.4 ბლოკის წესდებაში ცვლილებების შეტანა ხდება საბჭოს წევრების სრული კონსენსუსით.

მუხლი 5. საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილებები:

5.1 ბლოკის საბჭოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირები არიან:

- ა) ბლოკის საბჭოს თავმჯდომარე;
- ბ) ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანი.

5.2 ბლოკის საბჭოს თავმჯდომარეა ალექსანდრე კობაიძე

5.3 ბლოკის საბჭოს გენერალური მდივანია - გოგი ლორთქიფანიძე

5.4 საბჭოს თავმჯდომარეს უფლებამოსილებები:

- ა) იწვევს და თავმჯდომარეობს ბლოკის საბჭოს სხდომებს;
- ბ) წარმოადგენს ბლოკს საარჩევნო პროცესის განმავლობაში და უფლებამოსილია გააკეთოს განცხადებები ბლოკის სახელით;
- გ) ხელს აწერს საარჩევნო ბლოკის დოკუმენტაციას, გარდა ამ წესდებით დადგენილი გამონაკლისისა;
- დ) შეიტანოს საჩივრები საარჩევნო კომისიაში და სარჩელები სასამართლოში საარჩევნო ბლოკის სახელით;
- ე) მიანიჭოს რწმუნება საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს სასამართლოში;
- ვ) წარმოადგინოს საარჩევნო ბლოკი მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ზ) განახორციელოს საქართველოს საარჩევნო კოდექსითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

5.5 საბჭოს გენერალური მდივანის უფლებამოსილებები:

- ა) თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის უფლებამოსილებებს;
- ბ) ასრულებს ბლოკის საბჭოს მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- გ) უზრუნველყოფს საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

მუხლი 6. საარჩევნო ბლოკში ახალი წევრის მიღება, გასვლა და გარიცხვა

6.1 საარჩევნო ბლოკში ახალი პარტიის მიღება ხდება საბჭოს წევრების სრული კონსენსუსით;

6.2 საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გარიცხვა ხდება საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით;

6.3 ბლოკის წევრ პარტიას შეუძლია ნებაყოფლობით გავიდეს ბლოკიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 7. ბლოკის მიერ წამომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესი

- 7.1 საარჩევნო ბლოკი საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური მდივნის ხელმოწერით წარადგენს წარმომადგენლობით ორგანოს წევრობის კანდიდატებს - პარტიული სიას და მაჟორიტარებს, მერობის კანდიდატებს;
- 7.2 საარჩევნო ბლოკი საბჭოს თავმჯდომარის და გენერალური მდივნის ხელმოწერით მოითხოვს წარდგენილი კანდიდატების რეგისტრაციის გაუქმებას;
- 7.3 საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ამოიღონ საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები.

**მუხლი 8. წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.**

პ/გ ხალხის პარტია

ხელმძღვანელი ალექსანდრე კობაიძე

\_\_\_\_\_

პ/გ სახალხო პარტია

ხელმძღვანელი ივანე (მამუკა) გიორგაძე \_\_\_\_\_

თბილისი, 8 სექტემბერი 2017